რუმინეთში

20 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო თბილისის “დინამოს” მესამე მატჩს ქ. კლუჟში გეორგიუ–დეჟის სახელობის სტადიონზე. თბილისელთა წინააღმდეგ თამაშობდა “სტინცა” (“ნაუკა”). თამაში დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. კარგა ხანს ანგარიში არ გახსნილა, თბილისელებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს გაიტანეს ბურთი. შესვენების შემდეგ თბილისელებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, რაც მათ ვერ გამოიყენეს. რუმინელებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

დღეს თბილისის “დინამო” ბუქარესტში შეხვდება რუმინეთის ჩემპიონს – არმიის ცენტრალური სახლის გუნდს.

22 ნოემბერი, 1953 წ.